აგვისტოს მოვლენების (2008) მსოფლიოზე გავლენის ანალიზი ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში

მარინე ჯიბლაძე
ჩინური ფოლოლოგიის დოქტორი, პროფესორი
თავისუფალი უნივერსიტეტი, ისტორიის
მიმართულების დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179, საქართველო,
+99559941471.marine.jibladze@tsu.ge,
https://orcid.org/0000-0002-9001-0426

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია, გამოავლინოს და განიხილოს რუსეთ-საქართველოს ომის მსოფლიოზე, მათ შორის, ჩინეთზე გავლენის შეფასება და ანალიზი ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც დაგვეხმარება, გავარკვიოთ იმდროინდელი ტენდენციები და ხედვები, ინფორმირებულობა და ცნობიერება ჩინურ სამეცნიერო წრეში.

ჩვეულებრივ, სამეცნიერო წრეები იწყებენ ამა თუ იმ საკითხის კვლევას და შედეგების გაზიარებას, რაც მოგვიანებით შეიძლება, აისახოს ქვეყნის პოლიტიკაზე, მათ შორის, საგარეო პოლიტიკაზე, რაც მეტ მნიშვნელობას სძენს ნაშრომს.

წინამდებარე ნაშრომში ასევე განვიხილავთ ჩინური სამეცნიერო წრეებისთვის აგვისტოს მოვლენების თემის აქტუალობას და დაინტერესების მიზეზებს; ვადგენთ ჩინეთის თვალით დანახულ საქართველოს გეორგაფიულ მდებარეობასა და მის გეოსტრატეგიულ ღირებულებას.

საკვანძო სიტყვები: ომი; რუსეთი; საქართველო; ჩინეთი; მსოფლიო.

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორია ჩინეთის თვალით დანახული რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი (შემდგომში ასევე: „აგვისტოს მოვლენები“) და მისი გავლენა მსოფლიოზე, მათ შორის, ჩინეთზე. მიზნის მისაღწევად, საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

განვიხილოთ ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში აგვისტოს ომის თემა და მასთან დაკავშირებული მოვლენებისა თუ სიტუაციის შეფასება, ომით განპირობებული რუსეთის რეპუტაციისა და მისგან წამოსული სავარაუდო საფრთხეების ანალიზი; განვსაზღვროთ მეცნიერების მიერ ომის შედეგების შეფასება, თუ რა რეალობის წინაშე აღმოჩნდა მსოფლიო და, მათ შორის, ჩინეთი; ვადგენთ ჩინეთის თვალით დანახულ საქართველოს გეორგაფიულ მდებარეობასა და გეოსტრატეგიულ ღირებულებას.

უნდა ითქვას, რომ აგვისტოს ომზე კვლევების რაოდენობა შეზღუდულია. გამოყენებულ ლიტერატურაში მოყვანილია იმ ავტორთა სია, რომელთა შრომები ახლოსაა ჩვენი კვლევის თემატიკასთან. ეს ნაშრომები მოცემულია ჩინურ სამეცნიერო გამოცემებსა და კრებულებში. ქრონოლოგიურად, ძირითადად, მოიცავს სამეცნიერო კვლევებს ომამდე (2006 წლიდან), ომის შემდგომ პერიოდამდე (2009 წლამდე), ასევე რამდენიმე მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომს.

როგორც ვიგებთ რონალდ დ. ასმუსის წიგნიდან „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, „დასავლელი მკითხველისათვის ძალიან მწირი ლიტერატურა თუ მოიპოვება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტზე“, თუმცა ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ჩინური სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევის დიდი ნაწილი მათ ემყარება. ჩვენ ნაშრომში არ განვიხილავთ ჩინეთის ოფიციალურ პოზიციას, არამედ მივმართავთ მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც არის კვლევითი-ანალიტიკური სახის გამოქვეყნებული მასალა. ჩვენ კვლევის შინაარსის ირგვლივ ვმსჯელობთ და, გარკვეულ წილად, ვაწარმოებთ კვლევის შედეგების შეფასებას. ჩვენ მოვიძიეთ წინამდებარე საკვლევ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც, ძირითადად, გამოქვეყნდა ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე და ომის შემდეგ, რის საფუძველზეც შევაგროვეთ საკვლევი საკითხის შესახებ ცოდნა, გავეცანით და მოვიყვანეთ განსხვავებული პოზიციები, კონკრეტულად კი, შევაგროვეთ, შევაფასეთ და ანალიზი გავუკეთეთ, ჩინურენოვან პუბლიკაციებს.

რაც შეეხება თემის აქტუალობას, ზოგადად, უახლესი ისტორიის საკითხები თავისთავად აქტუალურია, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული დღევანდელობასთან. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების საჭიროებით. ნაშრომში მოცემული მოვლენები თუ პროცესები ისტორიის ნაწილია.

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიგებთ, როგორ აღიქვამენ ჩინეთში ომსა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ვხედავთ რუსეთის ქმედებების გავლენას მსოფლიოზე, ჩინეთზე და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებზე, ასევე ჩინელი მეცნიერების ხედვას რუსეთის საფრთხეზე, დამოკიდებულებაზე, დასავლეთთან ურთიერთობებზე.

მეთოდი

სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება შემდეგ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, 2008 წლის ომის დროინდელი სამეცნიერო და ანალიტიკური პუბლიკაციების მოძიებას და დამუშავებას. კვლევა მოიცავს დისკუსიებისა და დასკვნების რეალობასთან კავშირის დადგენას, მეცნიერების მიერ დანახულ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის საინტერესო ელემენტებს, ხედვასა და მიდგომას.

შედეგები

ჩინელი მეცნიერების შრომებმა მოგვცა საშუალება გავცნობოდით აგვისტოს მოვლენების (2008) მსოფლიოზე გავლენის ანალიზს ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ ხედვებს ჩინეთის საგარეო პოლიტიკასა და დილემებზე აგვისტოს მოვლენების ფონზე, ასევე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე. 2008 წლის ომმა აჩვენა, რომ რუსეთი რადიკალურ ნაბიჯებზეა წამსვლელი, რამაც დააფიქრა ქვეყნები ალტერნატიულ გზებზე და საგარეო პოლიტიკის გადახედვაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ჩინეთი უნდა ორიენტირდეს ფრთხილ და პრაგმატულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე ცნობადობის ამაღლებისთვის. ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ისტორიით, და, ზოგადად, საგარეო პოლიტიკის კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის.

დისკუსია

დაახლოებით ასეთ სურათს ვხედავთ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში: მე-20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან, ჩინეთი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან აქტიურად მუშაობს სტრატეგული ურთიერთობის აწყობაზე, რაც არ უნდა ყოფილიყო მესამე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული. ეს წარმოადგენდა ჩინეთის დიპლომატიაში ახალ ცვლილებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაახლოებით ასეთ სურათს ვხედავთ: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო პირველი დაუფარავი და ღია სრულმასშტაბიანი კონფლიქტი დსთ-ს ქვეყნებს შორის და პირველი პირდაპირი დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის ცივი ომის დასრულების შემდეგ. რუსეთი აკონტროლებს სამხრეთ ოსეთს, საქართველოს პროდასავლური ლიდერები და ნატო საქართველოს თანადგომას უცხადებენ, რუსეთის არმიამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკავა და საქართველოს დაბომბვა დაიწყო. ამ ომს აქვს შორსმიმავალი შედეგები, რაც აძლიერებს უთანხმოებებს დსთ-ს შიგნით, ამწვავებს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებს, ზრდის რუსეთის მიმართ უნდობლობას და სხვა, რაც, საბოლოო ჯამში, ჩინეთის სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მშვიდობიან გარემოში ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის გეგმებს აფერხებს და განვითარების შესაძლებლობას ამცირებს.

მოგვიანებით შექმნილ სტატიაში აღნიშნეს, რომ უკრაინის კონფლიქტისგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ომი მხოლოდ ხუთ დღეს გაგრძელდა, მისმა შორსმიმავალმა ზემოქმედებამ ჩამოაყალიბა გლობალური ლანდშაფტი და აფასებენ, როგორც ახალი გეოპოლიტიკის დაბადებას (ვანგ, ლიძიოუ. 2008).

იმ დროისთვის, ფაქტობრივად, საქართველოც შეუერთდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების რიგებს და იკავებს ძალიან მნიშვნელოვან პოზიციას რუსეთის შეკავების მიზნით. ომამდე, საქართველომ დახურა ყველა რუსული სამხედრო ბაზა თავის ტერიტორიაზე. რუსეთმა რამდენჯერმე განიხილა მის წინააღმდეგ „სპეციალური სამხედრო ოპერაციების“ წამოწყება, მაგრამ ნატოს მიერ განხორციელებული უზარმაზარი ზეწოლის შედეგად, იძულებული გახდა ძალის გამოყენების გეგმა შეეჩერებინა (ძი, ჭი-იე.2008).

აგვისტოს მოვლენების გავლენა საქართველოსა და რუსეთზე. აგვისტოს მოვლენებმა შეაფერხა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესი, რადგან ჯერ მოსა-

გვარებელი დარჩა ე.წ. „შიდა ეთნიკური“ და ტერიტორიული დავები მშვიდობიანი გზით. საქართველო ტოვებს დსთ-ს, ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების პრობლემის დარეგულირებაში უმოქმედობისა და რუსეთის მათზე დიდი გავლენის გამო და წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობებს რუსეთთან. ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით და ქვეყანა გადავიდა რეაბილიტაციის ეტაპზე. რუსეთი აგრძელებს საქართველოს შევიწროების პოლიტიკის გატარებას თითქმის ყველა მიმართულებით.

აგვისტოს მოვლენებმა მოახდინა გავლენა შემდგომში რუსეთ-საქართველო-ნატოს ურთიერთობებზეც, ასევე ურთიერთობებზე რუსეთსა და ევროპას შორის, რუსეთსა და აშშ-ს შორის. რუსეთმა დაიწყო ახალი ცივი ომი საქართველოში 2008 წლის ომის წარმოებით და რუსეთის ე.წ. „პრაგმატულმა პოლიტიკამ“ ახალი გლობალური გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო, მათ შორის ჩინეთიც. რუსეთის მიმართ ნდობის ხარისხი დაეცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ, განსაკუთრებით კი დასავლურმა ქვეყნებმა დაიწყეს რუსეთის მიმართ თავისი პოლიტიკის გადახედვა. რუსეთიდან ელვის სისწრაფით დაიწყო უცხოური ინვესტიციების გადინება, რუსული რუბლი მკვეთრად გაუფასურდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი (ფენგ, სინქაი. 2008).

აგვისტოს მოვლენების გავლენა სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე. საქართველო გადის დსთ-დან. 26 აგვისტოს რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც საქართველომ მასთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამწვავებამ არა მხოლოდ გააღრმავა უთანხმოება დსთ-ს შიგნით, არამედ განაპირობა ისიც, რომ რუსეთის მიერ დსთ-ს ბაზრის ინტეგრირების მცდელობები საბოლოოდ ჩავარდა. დსთ-ს ქვეყებისთვის ნათელი ხდება, რომ რუსეთმა ამ გზით რეაბილიტაცია სცადა, მას სურს ძველი დიდების დაბრუნება და, რომ ეს სამ-

ხედრო საფრთხე არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ რუსეთით და საქართველოთი.

ჩინურ სამეცნიერო წრეებში აღნიშნავენ, რომ 2008 წლის ივლისში რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის გამწვავების შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ აშკარად დაუჭირა მხარი საქართველოს პრეზიდენტს და დაიწყო ნატოში გაწევრიანების განაცხადზე აქტიური მუშაობა. ამ ნაბიჯმა ასევე დააჩქა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების გაუარესება და რუსეთმა მაშინვე დაიკავა პირდაპირი კონფრონტაციული პოზიცია უკრაინის წინააღმდეგ. შავი ზღვის რეგიონში, უკრაინამ და ნატომ სამხედრო წვრთნები დაიწყეს, რის გამოც უკრაინაში იუშჩენკოს ეთნიკური რუსების ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა და მას ხშირად აკრიტიკებდნენ.[44] ამ გარემოებამ, საბოლოოდ, გამოიწვია იანუკოვიჩის არჩევა 2010 წელს და, შესაბამისად, უკრაინის ნატოში გაწევრიანების კანონიერი აკრძალვა. ამ ნაბიჯმა კი, თავის მხრივ, გამოიწვია პროდასავლური მოსახლეობის აღშფოთება და რუსებთან დაპირისპირება, რამაც მიიყვანა ქვეყანა 2014 წლის რევოლუციამდე.

აგვისტოს მოვლენებმა საქართველოსთან ერთად, მსოფლიოს დაანახა დსთ-ს უუნარობა, რადგან საქართველოს არსებითი დახმარება დსთ-ს ქვეყნებისგან არ მიუღია რუსეთის მიმართ შიშისა და სავარაუდო საფრთხეების გამო, რაც ამჟღავნებს ე.წ. „თანასწორუფლებიან“ წევრებს შორის მოქმედების არათანაბარ უფლებებსა და სტატუსს. რუსეთის ქმედების გამო, დსთ-ში მისი გავლენის რყევის შემდეგ, ქვეყნებმა დაიწყეს ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად საკითხებზე მუშაობაზე და პრობლემების მოგვარების გზებზე ფიქრი (თან, ტეფენგ. 2009).

აგვისტოს მოვლენები და დასავლეთი. ჩინურ სამეცნიერო წყაროებში წერენ, რომ ომის შედეგად, თითქოს გამოაშკარავდა განსხვავება ნატოსა და ევროკავშირს შორის. რუსეთ-საქარ-

[44] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში არ ფიქსირდება შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, რომელმაც ასევე ხელი შეუწყო პროდასავლური მოსახლეობის პასიურობას.

თველოს ომის დასრულების შემდეგ, ევროპა მიიჩნევდა, რომ „ომი შეერთებულმა შტატებმა ან ნატომ კი არა, არამედ საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ დაასრულა" ამ ომში სარკოზიმ დიდი პოლიტიკური პოპულარობა მოიპოვა, შედეგად კი, საფრანგეთმა და, ზოგადად, ევროკავშირმაც უფრო მაღალი პოლიტიკური სტატუსი მოიპოვეს.

მეცნიერები თავიანთ შრომებში აღნიშნავენ, რომ ამ ომით რუსეთის მიზანი იყო ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე ფიქრისა და შავი ზღვის რეგიონით დაინტერესების შეჩერება. მათი აზრით, ნატოს გავლენა საგრძნობლად შემცირდა, რის შედეგადაც შეერთებული შტატები იძულებული გახდა ევროპაზე კონტროლი შეემცირებინა. გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობით, ევროკავშირმა საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეული ხმის გაძლიერება დაიწყო და თანდათან გლობალურ ე.წ. „მეოთხე პოლუსად“ იქცა. ამ მიზნით, შეერთებულ შტატებს მოუწია გარკვეული საგანგებო ზომების მიღება, როგორიცაა ბრიტანეთის ევროკავშირის დატოვებისკენ მოწოდება და საფრანგეთთან სავაჭრო სფეროში დაპირისპირება.[45]

2008 წლის ომს რუსეთ-ევროპის ურთიერთობის არა მხოლოდ გაგრილება მოჰყვა, არამედ მთლიანად გადავიდა გარდაუვალ და თანდათანობით დაპირისპირებაში. მართალია, მათ შორის ვაჭრობა გაიზარდა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც, მაგრამ ეს ზრდა განპირობებული იყო ობიექტური მოთხოვნილებით, თუმცა, ფსიქოლოგიურ და იდეოლოგიურ დონეზე, ევროპას რუსეთის მიღება აღარ შეუძლია.

ამ პროცესებს ასევე მოჰყვა ენერგორესურსების ალტერნატიურ გზების მიღებაზე ფიქრი, რათა გათავისუფლებულიყო რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისაგან.

---

[45] მოგვიანებით დაიწერა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასაწყისში, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა გადაწყვიტა სარკოზის კვალდაკვალ ემოქმედა და სცადა მოსკოვში პირადად წასულიყო რუსეთ-უკრაინის შუამავლად. თუმცა, ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მაკრონის მოგზაურობა მოსკოვში მარცხით დასრულდა, რის გამოც საფრანგეთის საერთაშორისო რეპუტაცია შეილახა. როგორც ჩანს, აქედან აშშ-ევროპის ურთიერთობები ისევ ძველ მდგომარეობას უბრუნდება.

რუსეთ-საქართველოს ომმა გააღრმავა ევროკავშირის უნდობლობა რუსეთის მიმართ. ევროპა აკვირდება, რუსეთი რამდენად შორს წავა; როგორ განვითარდება ურთიერთობები აშშ-სა და რუსეთს შორის; თუმცა ომის შემდეგ ნატოს უკან დახევამ რეალურად განმუხტა დაძაბულობა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში.

თუ კონკრეტულ ქვეყნებს შევეხებით, სამეცნიერო ლიტერატურაში პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ადანაშაულებენ რუსეთს ომის პროვოცირებაში, ასევე მცდელობაში, გაიმართლოს თავი და გადაიბიროს ევროპა.

ევროპა, ერთი მხრივ, სთხოვს რუსეთს გაიყვანოს ჯარი საქართველოდან ისე, რომ რუსეთმა „სახე არ დაკარგოს“, თუმცა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და იწყებს მასთან სხვადასხვა საკითხზე მოლაპარაკებას. ამით, ევროკავშირის ქმედებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის კავშირი და გავლენა, წერენ მეცნიერები, ენერგოდამოკიდებულება აიძულებს მას, იმოქმედოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ნატო მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, რითაც ის რუსეთს კიდევ უფრო შორდება და მათი სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობა მუხრუჭდება, თუმცა ბოლომდე არ წყდება.

ევროპაზე ასევე იწერება, რომ მათი აზრით, თუ საქართველოს დაუთმობენ რუსეთს, რუსეთის „იმპერიალისტური გაუმაძღრობის“ დაკმაყოფილება მოუწევს ევროპას და აცნობიერებს, რომ 15 წლის შემდეგ, იგი ისევ ეცდება გაფართოებას. ინგლისი წინადადებითაც კი გამოვიდა: ჩამოყალიბებულიყო რუსეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად გაერთიანებული კავშირი, რაზეც რუსეთი პასუხობს, რომ არ ეშინია ახალი ცივი ომის, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი არ გააჩნია და დასავლეთს აკისრებს პასუხისმგებლობას შედეგებზე. საბოლოო ჯამში, ყველა შემოიფარგლა ხმამაღალი კრიტიკით, მოქმედების გარეშე, რასაც ადარებენ „ქუხილს წვიმის გარეშე“ (ჭაო, ხუიეჟუნგ. 2008).

აგვისტოს მოვლენების გავლენა ჩინეთზე. ომამდე გამოქვეყნებული სტატიების ნაწილში ჩინელი ავტორების აზრი გაყოფილია, ნაწილი ვარაუდობს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა (ძირითადად, დასავლეთთან ურთიერთობების შესაძლო გაუარესობის თავიდან აცილების გამო), ხოლო ნაწილი კი, მათ უწინასწარმეტყველებს სიტუაციის გამწვავებას.

რიგ სტატიებში განხილულია რუსეთის მიერ განხორციელებული ძალისმიერი და არადიპლომატიური პოლიტიკა. ჩინეთი ოფიცილურადაც აცხადებს, რომ გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებას და პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. იგი გმობს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევასა და მასზე თავდასხმას, რაც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

სამეცნიერო სტატიებში აღნიშნავენ, რომ, ერთი მხრივ, დასავლური სამყაროსგან იზოლაციის საფრთხის წინაშე მყოფ რუსეთს ჰაერივით სჭირდება ჩინეთი, რათა განაგრძოს შიდა ეკონომიკური და სოციალური განვითარება. თუმცა, იმავდროულად, რუსი ექპერტები აცხადებენ, რომ ჩინეთი და რუსეთი ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ საეჭვოა, რომ ხვალ ეს ისევ ასე დარჩება.

სამეცნიერო წრეეში ფიქსირდება აზრი, რომ რუსეთში ბევრს მიაჩნია, რუსეთისადმი ჩინეთის მხარდაჭერა საკმარისად მტკიცე არ არის, ხოლო მათთვის არასრული მხარდაჭერა ნიშნავს მხარდაჭერის არარსებობას, რითაც ისინი უკმაყოფილონი არიან, უბრალოდ, უკმაყოფილების გამოხატვას, ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, ვერ ბედავენ.

მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს ომმა და მის მიერ წამოწყებულმა „რუსეთის 21-ე საუკუნის ახალი გაფართოების მეთოდებმა“ წარუშლელი ჩრდილი მიაყენა ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს. ჩინეთი მტკიცედ გმობს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფას, ამ შემთხვევაში კი - რეფერენდუმს დამ-

ოუკიდებლობის შესახებ ან რეფერენდუმს სხვა ქვეყნებთან შეერთების შესახებ, რადგან, ბუნებრივია, იგივე საშუალებები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ჩინეთის თაივანის, ჰონგკონგის, ტიბეტის და ა.შ. შემთხვევაშიც.

რადგანაც თავისი ძირითადი გეოსტრატეგიული ინტერესების დასაცავად, რუსეთი უყოყმანოდ უარს აცხადებს სხვის ტერიტორიაზე შეჭრის ტრადიციის დარღვევაზე, სხვისი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე თავის ტერიტორიულ გაფართოებაზე, ეს ეწინააღმდეგება სუვერენული ქვეყნის ეროვნულ თვითგამორკვევას და ხელს უწყობს სეპარატიზმს, მიდის დასავლეთთან ურთიერთობების გამწვავებასა და შეწყვეტაზე. ის სამხედრო მოქმედებებსაც კი მიმართავს, ჩინეთი იძულებული ხდება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, რადგან არ არის გამორიცხული, გარდა იმისა, რომ ჩინეთი დასავლეთის წნეხის წინაშე შიეძლება აღმოჩნეს, ასევე შეიძლება მოხდეს გაუგებრობა თაივანის და ტიბეტის საკითხთან დაკავშირებით. ყველაფერთან ერთად, აღინიშნება შრომებში, რომ ჩინეთი ეწინააღმდეგება ძალისმიერ პოლიტიკას.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც ახსენეს, დსთ-ქვეყნებს რუსეთის მიერ გაჩაღებულმა ომმა დანახა, რომ სსრკ-ს დაშლის მიუხედავად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის კონტროლიდან ვერ გავლენ და ნებისმიერი მცდელობის შემთხვევაში, მიიღებენ საპასუხო ზომებს. შედეგად, დსთ-ში რუსეთის რეპუტაციისა და გავლენის რყევის შემდეგ, წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი ალტერნატიულ კავშირებისა და ურთიერთობების წარმოებაზე, რამაც განაპირობა მათი ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა. ამასთანავე, ომის შემდეგ, ობამას ადმინისტრაციამ განაპირობა თავისი პოლიტიკის გატარების შესუსტება სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, რამაც უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა ჩინეთს.

ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნულია, რომ ყოფილი სსრკ-ს ევოლუცია ახალ ფაზაში შევიდა - ძალები მიმართულია ევროპის

წინააღმდეგ, ანუ აღმოსავლეთის სასარგებლოდ. თუმცა, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთის სწრაფვა აღიდგინოს ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი და შექმნას გავლენის სფეროები მის საზღვრებთან, სამხედრო ხერხით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის და საზღვრის შეცვლის მცდელობა, ჩინეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებსაც გადაეკვეთა.

ჩინეთი ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას კავკასიის რეგიონში და, ზოგადად, გლობალური პოლიტიკის დაფაზე. საქართველო, ტრადიციულად, რჩება ქვეყნების დაპირისპირების მიზეზად და „ბრძოლის ველად“. თუმცა, თუ ადრე საქართველო მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის ქვეყანა იყო, ახლა ის მოექცა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშეების ყურადღების ქვეშ, რადაგან საიმედო პარტნიორი სახით, საქართველოს შეუძლია, უზრუნველყოს უსაფრთხო ენერგოტრანზიტი დასავლეთის მიმათულებით.

ჩინეთი დგას შემდეგი ფაქტების წინაშე: ერთი მხრივ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა, გაიხსნება აზიის, განსაკუთრებით კი შუა აზიის ენერგომატარებლების ტრანზიტული ჰაბი ევროპაში. ეს თავისუფლად მისცემს შუა აზიის ქვეყნებს თავისი ენერგორესურსი მიამართოს ევროპას უმოკლესი გზით შუამავლის გარეშე და ნაკლებად დამოკიდებულს ხდის რუსეთსა და ჩინეთზე, გარდა ამისა, ეს აშშ-ს მისცემს უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალებას აღმოსავლეთის მიმართულებით. მეორე მხრივ კი, რუსეთის გავლენის პირობებში, ჩინეთს ექმნება დასავლეთთან პირდაპირი კომუნიკაციის საფრთხე. შესაბამისად, საქართველო თანდათან ჩინეთის ინტერესების არეალშიც ექცევა.

რომ შევაჯამოთ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რუსეთის „გამოღვიძება“, რუსეთის ძალის დემონსტრირება, რაც, საბოლოო ჯამში, ართულებს ურთიერთობებს ყველასთან, ჩნდება მის მიმართ უნდობლობა და ეჭვი. დასავლური სამყაროსგან იზოლაციის საფრთხის წინაშე მყოფი რუსეთი, რათა განაგრძოს შიდა ეკონომიკური და სოციალური განვითარება, იძულებული

ხდება, დაუახლოვდეს ჩინეთს, თუმცა ბოლომდე არ სჯერა მისი ერთგულების. ჩინეთს კი, თავის მხრივ, აქტიური განვითარების საშუალებას აძლევს იზოლაციაში მოქცეული რუსეთი და ეს ურთიერთობა უფრო საჭიროებიდან გამომდინარე პრაგმატულია. იმავდროულად, ჩინეთი გმობს რუსეთის ძალისმიერ პოლიტიკას, ხაზგასმულია რუსეთის მხრიდან თავისი ინტერესებისა და მიზნების გამო, დიპლომატიური გზების უგულვებელყოფა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების უხეში დარღვევა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინააღმდეგობაში მოდის ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპებთან. გარდა ამისა, რუსეთის მიერ, თვითნებურად რეფერენდუმის ჩატარებას საქართველოს ტერიტორიებზე აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ჩინეთის ინტერესებს, რადგან ეს ფაქტი შეიძლება ცუდ პრეცედენტად იქცეს ჩინეთისთვის თაივანის საკითხში. ჩინეთი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და პრინციპულად უცვლელი რჩება ეს პოზიცია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის ისტორიაში და თანამედროვეობაში.

რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის ომებს შორის პარალელის გავლებაც ხშირია სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა აქ გასათვალისწინებელია განსხვავებული დრო, გარემოება და ქვეყნის განსხვავებული ადგილმდებარეობა, განსხვავებული შესაძლებლობები, აშშ-ს ფაქტორი და სხვა.

სტატიების ავტორები გულდასმით აკვირდებიან ნატოს, ევროკავშირისა და რუსეთის რეაქციას ამა თუ იმ მოვლენებზე, მათ ქმედებებს და მათ პრიორიტეტებს ამა თუ იმ საკითხში. ცვლილებების შესაბამისად, ჩინეთის საგარეო პოლიტიკას, მიუხედავად მთავარი ფიქსირებული ღერძისა, კონკრეტულ სიტუაციაში მოქნილობა ახასიათებს.

დასკვნა

აგვისტოს მოვლენების მსოფლიოზე გავლენის ანალიზზე მსჯელობის პროცესში, დავადგინეთ ჩინური სამეცნიერო წრეების შემდეგი შეფასება:

საგარეო პოლიტიკის პრინციპების ჩარჩოში ურთიერთობების მოქცევა. როგორც სამეცნიერო წრეები აღნიშნავენ, ჩინეტი აცნობიერებს, რომ ამ ჩარჩოდან ნებისმიერი მიზეზით გამოსვლა იწვევს გლობალურ დონეზე ურთიერთობების ჩახლართვას. რუსეთის ხისტმა პოლიტიკამ პრობლემები შეუქმნა ინვესტორებს, დააფრთხო და დააფიქრა ქვეყნები. მას შეელახა რეპუტაცია მსოფლიოში, რადგან დაარღვია საერთაშორისო სამართლის საკვანძო პრინციპები, რაც დიპლომატიური კრახის ტოლფასია. თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების გამო, აგრესიის მკადრებელია, რაც ეწინააღმდეგება სუვერენული ქვეყნის ეროვნულ თვითგამორკვევას და ხელს უწყობს სეპარატიზმს. დასავლეთთან ურთიერთობებს ამწვავებს და მასვე ადანაშაულებს ამაში. ჩინეთი იძულებულია როგორმე ადაპტირდეს გლობალურ ცვლილებებთან, აწარმოოს ფრთხილი პოლიტიკა, რათა აირიდოს პრობლემები რუსეთისგან, ზეწოლა სხვა ქვეყნებისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და გააგრძელოს ქვეყნებთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების განვითარება.

საგარეო პოლიტიკის პრინციპების ჩარჩოში თაივანის საკითხის მოქცევა. მეცნიერების აზრით, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიებზე თვითნებურად რეფერენდუმის ჩატარებას ეწინააღმდეგება ჩინეთის ინტერესებს, რადგან ეს ფაქტი ცუდ პრეცედენტად შეიძლება იქცეს ჩინეთისთვის თაივანის საკითხში.

სამეცნიერო ლიტერატურაში წერენ, რომ აგვისტოს მოვლენების ანალიზის შედეგად, გაჩნდა მოსაზრება, რომ აუცილებელია საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში ლოზუნგი „თაივანის მშვიდობიანი გზით დაბრუნება“ ჩანაცვლდეს მოწოდებით „თაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია“ და მის სხვაგვარად მოხსენიება არის ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობა და უგულველყოფა შიდა საქმეებში უხეშ ჩარევად აღიქმება, თაივანის გამო საომარი მოქმედება კი - საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ურთიერთთავდაუსხმელობის პრინციპის დარღვევად ჩაითვლება, რაც

სერიოზულად დააზიანებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. შესაბამისად, ჩინეთმა მოაქცია თაივანის თემა „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის“ ჩარჩოში (განსაკუთრებით გამოყოფენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას; შიდა პოლიტიკაში ურთიერთჩაურევლობას; ურთიერთთავდაუსხმელობას). ხუთიდან, განსაკუთრებით, ამ სამი პრინციპის დარღვევის საპასუხოდ, ჩინეთი უნდა იყოს ეკონომიკურ და სამხედრო მზადყოფნაში.

ომი განაპირობებს ეკონომიკურ კრიზისს. ჩინურ სამეცნიერო წრეში მიიჩნევენ, რომ ომი სერიოზულ ეკონომიკურ ზიანს აყენებს ომში მონაწილე ქვეყნებს და არა მხოლოდ მათ. ამ დროს, დიდი ქვეყნის მიმართ ნდობის ხარისხი ეცემა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა, განსაკუთრებით კი დასავლური ქვეყნები იწყებენ მის მიმართ თავისი პოლიტიკის გადახედვას. ქვეყნიდან იწყება უცხოური ინვესტიციების გადინება, ეროვნული ვალუტა უფასურდება, რაც იწვევს ეკონომიკურ კრიზისს და ქვეყანა უმწეო მდგომარეობაში, ფაქტობრივად, ეძებს შველას.

ჩინეთის გეოსტრატეგიული ინტერესების გამოკვეთა. სამეცნიერო წრეებში აწარმოებდნენ საქართველოს გეორგაფიულ მდებარეობასა და გეოსტრატეგიულ ღირებულებაზე მსჯელობასდა, როგორც ზოგადად, ისე, კონკრეტულად, ჩინეთისთვის მნიშვნელოვნების შეფასებას. ისინი ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას კავკასიის რეგიონში და, ზოგადად, გლობალური პოლიტიკის დაფაზე და აღნიშნავენ, რომ, საქართველო ახლა მოექცა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშეების ყურადღების ქვეშ. მათი აზრით, მართალია, რუსეთის რეპუტაციისა და გავლენის რყევამ განაპირობა ნაწილი ქვეყნების ჩინეთთან უფრო დაახლოება, თუმცა ჩინეთი აღმოჩნდა შემდეგი ურთიერთსაპირისპირო ფაქტების წინაშე: ერთი მხრივ, თუ საქართველო გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა, იქმნება აზიის, განსაკუთრებით კი შუა აზიის ენერგომატარებლების ტრანზიტული ჰაბი ევროპაში. გარდა ამისა, აშშ-ს მისცემს მათ უფრო თავისუფალი მოქმდების საშუალებას აღმოსავლეთის

მიმართულებით. მეორე მხრივ, რუსეთის გავლენის პირობებში კი, ჩინეთს ასევე ეზღუდება მოქმედების თავისუფლება. რუსეთის ეს დაპყრობითი პოლიტიკა შეიძლება ჩინეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებსაც გადაეკვეთოს.

წინამდებარე კვლევის სამეცნიერო სიახლედ ვასახელებთ: ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში აგვისტოს მოვლენების საკითხით ჩინეთის დიდი დაინტერესების მიზეზების დადგენა; ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციებზე, რეაქციებზე, მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე, მიზეზებზე ჩინეთის მიერ დაკვირვების წარმოება; ზოგჯერ, საქართველოსა და ჩინეთს შორის, ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობის პირობებში, რუსეთის პროპაგანდის ნაწილობრივი და დროებითი გავლენა; ჩინეთის მრავალპოლარული საგარეო პოლიტიკისკენ სწრაფვა; შიგადაშიგ, საქართველოს არჩევანსა და პრიორიტეტებზე დაკვირვება, მათი ომის ჩინეთზე გავლენის კვლევა და ახალ გეოპოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირების მცდელობა.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის სიმწირის გამო, რუსეთის პროპაგანდისტულ წყაროებს, დროდადრო, შეცდომაში შეჰყავთ ჩინელი მეცნიერები და ანალიტიკოსები.

პრაქტიკაში გამოყენებას რაც შეეხება, პროგნოზის სახით კვლევის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია დიპლომატიურ საქმიანობაში სამომავლო შესაძლებლობების გონივრული გააზრება და ინტერპრეტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფანგ, ლესიენ. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და მისი გავლენა რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებზე.* **ფორმები და პოლიტიკა**, 11.
2. ჭუ, ფენგ. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საერთაშორისო პოლიტიკური ინტერპრეტაცია.* **თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები**, 11.

3. ჭაო, ხუიეჟუნგ. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობები.* **თანამედროვე მსოფლიო**, 10.
4. ჭანგ, იაო. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა საერთაშორისო სიტუაციაზე.* **თანამედროვე მსოფლიო**, 10.
5. ჩენ, ვენსიენ. (2008, აგვისტო). *ინვესტორები რუსეთს სწრაფი ტემპით ტოვებენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ.* **სინხუა დღევანდელი ტელეგრაფი**, 12.
6. ლი, ტუნგ. (2006). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის უკან და მომავალი.* **საერთაშორისო მონაცემები და ინფორმაცია**, 10.
7. მა, ძიენ (2006, 30 სექტემბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ესკალაცია.* ჟენმინ ჟიპაო, საერთაშორისო სიახლეები, 003.
8. ძი, ჭი-იე (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე.* **თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები**, 9.
9. სიუე, იუვენ (2008, სექტემბერი). *ევროპის როლი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში.* **მსოფლიო გაზეთი**, *005.*
10. ჩენ, სიაოსან. (2008, სექტემბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი ართულებს რუსეთის* WTO*-ში გაწევრიანებას.* **საერთაშორისო ბიზნესის გაზეთი**, 003.
11. ლი, ხუაფენგ. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენა ჩინეთის თაივანის საკითხზე.* **ლიაოჩენგის უნივერსიტეტის ჟურნალი**, 6.
12. ლიანგ, ციანგ. (2008). *შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის "განსხვავებული პოზიცია" რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისადმი.* **მსოფლიო საერთაშორისო**, 19.
13. ვანგ, ჩუნშენგ. (2008). *უკრაინა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ჩრდილში.* **მსოფლიო სამხედრო ამბები**.
14. ვანგ, ნა. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და მისი გავლენა მსოფლიო წესრიგზე.* **საერთაშორისო მიმოხილვა, ენციკლოპედიური ცოდნა**, 10.

15. ჟენ, ძინგძინგ. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიღმა დიდი ძალების თამაში სამხრეთ კავკასიაში.* **მსოფლიო პერსპექტივა, ჩინეთის პარტიის და მთავრობის ფორუმი**, 10.
16. ვანგ, ვანჭენგ. (2008, 2 სექტემბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სამი ფენა ნისლის გარღვევა.* **საერთაშორისო ტენდენციები, მიმდინარე საკითხების ანგარიში**, *9.*
17. ვანგ, ნა. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი: დიდი ძალების თამაშის მიკრო კოსმოსი სამხრეთ კავკასიაში.* **ლიდერის დაიჯესტი**, 20.
18. ვანგ, ლიძიოუ. (2008, ოქტომბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საერთაშორისო გავლენის ანალიზი.* **დიპლომატიური შესწავლები, ქვეყანა და რეგიონული შესწავლები**, 10.
19. ჭანგ, ფალინგი. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და დიდი ძალების თამაშები.* **იდეოლოგიის და პოლიტიკის სწავლება**, 10.
20. ჟუნგ, ხუეი. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდგომი მიმდინარეობა რუსეთის ცენტრალური აზიის პოლიტიკაში.* **აზია-აფრიკის მიმოხილვა**, 6.
21. ფენგ, იუევეი. (2008, ნოემბერი). *ვალუტის ომი, რომელიც არის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიღმა.* **ჩინეთის ნავთობი და ნათობქიმია, სპეციალური კვლევა**, *22.*
22. ფენგ, იუძიუნგი. (2008). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგების ანალიზი.* **რუსეთის, ცენტრალური აზიისა და ცენტრალური ევროპის კვლევები**, *6.*
23. ლი, ხაილუნგი. (2008). *ფსიქოლოგიური საბრძოლო ველი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში.* **მსოფლიო სამხედრო ამბები**, 186.
24. თიენ, პაოკუო. (2008, ივნისი). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, საერთაშორისო ცვლილებები და ჩინეთის საგარეო პოლიტიკის კორექტირება.* **მოხსენება მიმდინარე მოვლენებზე**, 6.

25. ლიოუ, ვეიტუნგი. (2008, ივნისი). *რუსეთ-საქართველოს კონ-ფლიქტის განხილვა.* **ლიაოჩენგის უნივერსიტეტის ჟურ-ნალი, სოციალური მეცნიერებების გამოცემა**, 6.
26. ვეი, სიენჩაო. (2008, ივნისი). *რუსეთის საგარეო სტრატეგიის ცვლილებები დანახვა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მეშვეობით.* **ლიაოჩენგის უნივერსიტეტის ჟურნალი**, *6.*
27. ლი, კანგლინ. (2008, დეკემბერი). *დიდი საუბარი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე.* **მსოფლიო სამხედრო ამბები**, *188.*
28. ჭანგ, იაო. (2008, დეკემბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფ-ლიქტი: ანალიზი გეოპოლიტიკის ფარგლებში.* **რუსეთის კვლევები**, *6.*
29. ფენგ, სინქაი. (2008, დეკემბერი). *რუსეთ-საქართველოს კონფ-ლიქტის რუსეთის დიპლომატიაზე გავლენის მოკლე ანალ-იზი.* **ციმბირის კვლევები**, 35(6).
30. ხუანგ, ტენგსიუე. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ფესვის ძიება.* **ჩრდილოეთ აზიის ფორუმი**, 18(1).
31. იუ, სუეი. *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მიზეზები, არსი და გავლენა: ინტერვიუ მკვლევართან და ექსპერტ-თან.* **მკვლევართა ინტერვიუები**, *ექსპერტთა ინტერვიუები.*
32. ხუანგ, ტენგსიუე. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გავლენის ანალიზი.* **საერთაშორისო ფორუმი**, 1(1).
33. ვეი, მინგკე. (2009). *დასავლეთის მედიის საინფორმაციო ომი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მეშვეობით.* **ხმისა და ეკრანის მსოფლიო**, 2.
34. ცუეი, ციმინგ. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საერთაშორისო შედეგები.* **სოციალისტური კვლევები**, 1.
35. ჭაო, ხუაშენგ. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია.* **მშვიდობა და განვითარება**, 1.
36. თან, ტეფენგ. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და რუსეთ-დსთ-ს პოლიტიკის მომავალი.* **საერთაშორისო ურთიერთობების ჟურნალი**, 2.

37. იე, ს-ერ. (2014). *კავკასიის ლანდშაფტი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ.* **რუსული, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევები**, 2.
38. ჭანგ, ინძიაო. (2009). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ანალიზი რუსეთის-ამერიკის ურთიერთობების კუთხით.* **მიენ-იანგის პედაგოგიური უნივერსიტეტის ჟურნალი**, 29(9).
39. იანგ, შუ. (2010). *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდგომი ვითარება.* რუსეთის, აღმოსავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, 1.
40. იანგ, ძიემიენ. (2019). *ჩინეთის საგარეო პოლიტიკა და მშვიდობის განვითარება.* სახალხო გამომცემლობა.
41. ვანგ, ციაოჟუნგ. (2021). *ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ისტორია.* თანამედროვე გამომცემლობა.
42. სიაო, ლიფინგ, & სხვ. (2024). *თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკა: თექვსმეტი ლექცია.*

参考文献

1) 房乐宪. (2008). *俄格冲突及其对俄罗斯与西方关系的影响.* **形式与政策**, 2008(11), 112-123.
2) 朱锋. (2008). *俄格冲突的国际政治解读.* **现代国际关系**, 2008(11), 45-56.
3) 赵会荣. (2008). *俄格冲突后的俄罗斯与西方关系.* **当代世界**, 2008(10), 67-78.
4) 张耀. (2008). *俄格冲突对国际局势的影响.* **当大世界**, 2008(10), 79-91.
5) 陈文仙. (2008, 8 月). *俄格冲突，投资者以“最快速度”从俄逃走.* **新华每日电讯**, 第 12 版.
6) 李东. (2006). *俄格冲突的幕后与前景.* **国际资料信息**, 2006(10), 45-56.
7) 马剑. (2006, 9 月). *俄格冲突升级.* **人民日报**, 第 003 版.

8) 季志业. (2008). *俄格冲突对国际关系的影响探析.* **现代国际关系**, 2008(9), 23-35.

9) 薛雨闻. (2008, 9 月). *俄格冲突中欧洲角色面临拐点.* **世界报**, 第 005 版.

10) 陈小三. (2008, 9 月). *俄格冲突令俄入世添变数.* **国际商报**, 第 003 版.

11) 李华锋. (2008). *格俄冲突对中国解决台湾问题的启示.* **聊城大学学报**, 2008 年, 12-22.

12) 梁强. (2008). *上合峰会"区别对待"俄格冲突.* **World 国际**, 2008 年, 第 19 期, 34-45.

13) 王春生. (2008). *俄格冲突阴影下的乌克兰.* **环球军事**, *2008* 年.

14) 王娜. (2008). *改变世界格局的俄格冲突.* **国际纵横**, *2008* 年 10 月, 45-56.

15) 任晶晶. (2008). *俄格冲突背后的外高加索大国博弈.* **环球视野**, 2008 年 10 月, 34-45.

16) 王万征. (2008, 9 月 2 日). *拨开俄格冲突三重迷雾.* **国际大势**, 12-22.

17) 王娜. (2008). *俄格冲突-外高加索大国博弈的缩影.* **领导博览**, 2008 年 20 期, 56-67.

18) 王郦久. (2008). *俄格冲突的国际影响分析.* **外交研究**, 2008 年 10 月, 45-56.

19) 张发岭. (2008). *俄格冲突与大国博弈.* **思想政治课教学**, 2008(10), 12-22.

20) 荣慧. (2008). *俄格冲突后俄罗斯中亚政策走向.* **亚非纵横**, 2008(6), 45-56.

21) 冯跃威. (2008, 11 月). *俄格冲突背后的货币战争.* **中国石油石化**, 第 22 期, 12-24.

22) 冯玉军. (2008). *试析俄格冲突的战略内涵.* **俄罗斯中亚中欧研究**, 2008(6), 12-23.

23) 李海龙. (2008). *俄格冲突角力"心理地带".* **环球军事**, 2008 年 11 期, No.186, 23-35.

24) 田保国. (2008). *俄格冲突、国际变局及我国面临的对外政策的调整.* **时事报告**, 2008 年 6 月.

25) 刘卫东. (2008). *俄格冲突问题笔谈.* **聊城大学学报**, 社科版, 2008 年 6 期, 45-56.

26) 魏宪朝. (2008). *从俄格冲突看俄罗斯对外战略的变化.* **聊城大学学报**, 2008 年 6 期, 34-45.

27) 李钢林. (2008). *大话俄格冲突.* **环球军事**, 2008 年 12 期, No.188, 12-23.

28) 张耀. (2008). *俄格冲突-地缘政治框架下的分析.* **俄罗斯研究**, 2008 年 12 月, 第 6 期, 45-56.

29) 冯新凯. (2008). *俄格冲突对俄罗斯外交的影响浅析.* **西伯利亚研究**, 2008 年 12 月, 第 35 卷, 第 6 期, 12-23.

30) 黄登学. (2009). *俄格冲突的根源探析.* **东北亚论坛**, 2009 年 1 月, 第 18 卷, 第 1 期, 34-45.

31) 俞邃. (2009). *俄格冲突的缘由、实质与影响.* **研究员访谈**, 2009 年, 56-67.

32) 黄登学. (2009). *俄格冲突的影响探析.* **国际论坛**, 2009 年 1 月, 第 1 卷, 第 1 期, 12-23.

33) 魏明革. (2009). *从俄格冲突看西方媒体的舆论战.* **声屏世界**, 2009 年 2 月, 23-34.

34) 崔启明. (2009). *俄格冲突的国际影响分析.* **社会主义研究**, 2009 年, 第 1 期, 45-56.

35) 赵华胜. (2009). *俄格冲突与上海合作组织.* **和平与发展**, 2009 年, 第 1 期, 34-45.

36) 谭德峰. (2009). *俄格冲突与俄罗斯独联体政策的未来.* **国际研究**, 2009 年 3 月, 第 2 期, 23-34.

37) 张英姣. (2008). *从俄美博弈视角审度俄格冲突.* **绵阳师范学院学报**, 2008 年, 第 29 卷, 第 9 期, 45

38) 杨恕. (2010). *俄格冲突后的格鲁吉亚局势.* **俄罗斯东亚东欧研究**, 2010 年, 第 1 期, 12-23.
39) 杨洁勉. (2019). **中国外交与和平发展**. 人民出版社.
40) 王巧荣. (2021). **中华人民共和国外交史**. 当代出版社.
41) 夏莉萍等. (2024). **当代中国外交十六讲**. 人民出版社.